ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4339095

ნომერი: AR1654740

თარიღი : 11.01.2019

გაცემის თარიღი : 16.01.2019

გაცნობის თარიღი : 16.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N15.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩირაძე პ/ნ 01017022486
- თბილისი ლ.შარაშიძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 11

იანვარს NAR1654740 განცხადებით მომართა ირაკლი ჩირაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ. ყაზბეგის გამზ. N15-ში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.010.030) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, საოფისე, სასტუმრო, საცხოვრებელი), ბლოკი B, C, E, კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 02 ნოემბრიდან 2018 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 12 ოქტომბრის №4210684 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 12 ოქტომბრიდან 2019 წლის 12 აპრილის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 03 იანვრის №4327986 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა 2018 წლის 11 დეკემბრის №AR1649532 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საზაფხულო ფართობი 5607.45 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 5624.15 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი 47041.99 კვ.მ-ის ნაცვლად - 47058.69 კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება ფართობების დაზუსტება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი: 5624.15 კვ.მ, საერთო ფართობი: 47058.69 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655028 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.